ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნინო მახარაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც
არის საკრებულოს წევრი: სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია; აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს
წევრი: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): მაჟორიტარული წესით
საანგარიშო პერიოდი: 01. 10.2023 – 01.10. 2024 წ.
ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: **14**
საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება: **13**

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: **29**
საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: **25**

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის
არსებობის შემთხვევაში): **3**
საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): **2**

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: **14**

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება: **14**

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები: დასახლებულ პუნქტებში შიდა სატრანსპორტო გზების მოწესრიგება (1500 გრ/მ) ექსპლუატაციისათვისუვარგისი საცხოვრებელი სახლების სახურავების მოწყობა(90სახლი). მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების მიღებაში დახმარება(250-ზე მეტ მაცხოვრებელს). სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხოციელების წესის შედგენაში მონაწილეობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შედგენაშიმონაწილეობის მიღება.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს **2** დადგენილება, საკრებულოს **3** განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: რეგფონდებიდან დასაფინანსებელი პროექტები; სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესი; მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები (გზების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების ქსელი მოწყობა).

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: **50**

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: **130**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ერთი ახალი ხიდის მოწყობა; მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა; შიდა გზების დაგება; სანიაღვრე არხების გაწმენდა, გზების მოხრეშვა და კეთილმოწყობა; სასმელი წყლის ქსელის მოწყობა; გარე განათების ქსელის გაფართოება; სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): წინადადებების და რეკომენდაციების განხილვა საკრებულოს და კომისიების სხდომებზე და წარდგენა შესაბამის სტრუქტურაში; პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, მონიტორინგი პროექტების განხორციელების მიმდინარეობის პროცესში.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი მუშაობა ამომრჩეველთა ჩართულობის გასააქტიურებლად, საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა, სხვადასხვა ტერენინგ-სემინარებში (3-ჯერ) მონაწილეობა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: სოფ. გურიანთაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყება, სამივე უბანში გადაიხურა 90-მდე საცხოვრებელი სახლის სახურავი, ასევე უბნებში მალე დაიწყება ბეტონის საფარის დაგება (სოფ. გურიანთა - 1500კმ გზა; სოფ. ოზურგეთი - 400 კმ. გზა და სოფ. მელექედურში 380კმ. გზა.), პარალელურად იხრეშებოდა გზები და იწმინდებოდა სანიაღვრე არხები; 250 ადამიანს გაეწია სოციალური დახმარება (მედიკამენტოზური, ოპერაციისა და გამოკვლევის დაფინანსება); 60 მეტ მოქალაქეს გავუწიე შუამდგომლობა სოც. დასაქმების პროგრამაში; მოეწყო სამი ხიდი, ერთს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: სპორტული მოედნებისა და სკვერის მოწყობა; სასაფლაოს შეღობვა; სასმელი წყლის ქსელის მოწყობა; გზების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 18.10.2024წ.
ანგარიშის წარდგენის თარიღი: 28.10.2024წ.

ხელმოწერა: _____